# ხაშურის მოამბე

№49 (130) 11 დეკემბერი, ორშაბათი, 2017 წელი


## შემირცხვენია ის საქართველო, სადაც სააკაშვილის შეეშინდებათ

ძვირფასო მკითხველო, თავიდანვე გავხსნი „ფრჩხილს" და გეტყვით, რომ სათაურში გამოტანილი ეს სიტყვები ცნობილ და უნიჭიერეს პოეტს დავით მაღრაძეს ეკუთვნის. და რატომ დამჭირდა მისი ციტირება? ეს დღეები მთელი საქართველო ადევნებდა თვალს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, სადაც ეს ჩვენი ნაპრეზიდენტალი ჯერ სახლის სახურავიდან ჩამოხსნეს (სტოკჰოლმელი კარლსონი ხარ, მამაძალი?), შემდეგ კი, დოყლაპიობით, დანიშნულების ადგილზე ვერ მიიყვანეს და მთელი ღამე რადას წინ ამიტინგეს. ამ ამბებთან დაკავშირებით ბევრი კომენტარი მოვისმინე და, მათ შორის, ძალიან ბევრი, დაახლოებით, ასეთია: ვაიმე, რა გვეშველება, ეგ რომ საქართველოში გამოუშვან, არევს ძლივს დალაგებულ ქვეყანას... აი, სწორედ აქ ვარ მეც ბატონ დავითთან უნისონში –

შემირცხვენია ის საქართველო, სადაც სააკაშვილის შეეშინდებათ! გამოუშვან, დიახ, ძალიან მინდა, რომ გამოუშვან ეს კურდღელა „გმირი" და აქ ჩვენ გვიმტკიცოს თავისი ამირანობა, მისი ცხრაწლიანი რეჟიმის დროს გაწამებულ, გაუპატიურებულ ათასებს უმტკიცოს რა დონ კიხოტიცაა. ვითომ ოლიგარქებს დასდევს ეს „ეს ციდან მოვლენილი მესია" და ვინვინ და ჩვენ ხომ კარგად ვიცით, იმ ოლიგარქებზე ორჯერ მეტი თანხა აქვს წაგლეჯილი ქვეყნის ბიუჯეტიდან თუ ბიზნესმენებისაგან, რომელიც თავის „კეზერაშვილ – ოფშორ ბანკში" აქვს გადანახული. და თუ დღეს კიდევ ვინმეს ჰგონია, რომ იგი მილიარდერი არ არის, გულუბრყვილობის ზენიტში ყოფილა. ცალკე მინდა, ვთქვა უკრაინის შესახებ. პირდაპირ ვიტყვი: ეს ქვეყანა არ ყოფილა! ესაა, რაღაც ერთი ეთნოსით დასახლებული უზარმაზარი ტერიტორია, სადაც ყველა სახელმწიფო სტრუქტურა ჩამოშლილია, სადაც სხელმწიფოს ნიშნები, მე პირადად ვერსად დავინახე. არაქრისტიანულია ნიშნის მოგება, თორემ ახი არ არის, რაც მათ თავზე ხდება? ჯერ იყო და ოთხი წლის წინ ამ მეგობარმა ქვეყანამ ისეთი სილა გააწნა ქართველ ხალხს, რომ მართლა მეგობარი ამას არ გააკეთებდა – ქართველი ხალხისაგან აოტებული და სიხლის სამართალში მიცემული დამნაშავე პრეზიდენტი ტაშის გრიალით მიიღო. ვინ არ უმტკიცებდა მათ – ეგ ესეთი ავანტურისტია, უბედურებას დაგმართებთო, მაგრამ ვინ შეისმინა? როგორც კახელი ჯეელი იტყოდა, არ გვიჯერებთ ხომ, უკრაინელებო? ენდეთ სააკაშვილს, ხომ? ჰოდა, ენდე!

არა, ასეთი უსუსური 42 მილიონიანი ქვეყანა ნეტავ არსებობს კიდევ დედამიწაზე? ჯერ იყო და როგორც ბუზარააყოლილი ფური გადაჯეგავს მეზობლის ყორეს და სხვის სიმინდებში დურთავს თავს, ისე გადაჯეგა ბიჭმა უკრაინის საზღვარი. მესაზღვრეები ხომ გაიტრუნენ (ამას ჩემი მეზობელი ბეგლარა ყარაულიც კი არ იზამდა და თავის ერთლულიან „ცენტრალას" მაინც დაცლიდა სხვის დასანახად), პროკურატურა თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო კი, ვითომც არაფერი მომხდარა, ტყემალზე შესხდნენ. პრეზიდენტი? არა, ასეთი დოყლაპია პრეზიდენტი მართლა იშვიათია. სააკაშვილისაგან რომ გმირს აქცევ, ამას ხომ უნდა მოხერხება? სულო ცოდვილო, და, სააკაშვილი მართალი მგონია ამ პრეზიდენტთან. ასეთი უნიათო პრეზიდენტი მართლა არ ეკადრებოდა ევროპის ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანას. და სპეცრაზმი? აგერ ხაშურში, ბირჟის „გამმაგრებელი" ჯეელებისთვის რომ ეთხოვათ, სულ კინწისკვრით გაიგდებდნენ წინ ამ „გმირს" და სადაც გინდა, იქ მიიყვანდნენ. დარწმუნებული ვარ, იმ სპეცრაზმელებს მრისხანე სახელი ერქმევათ, რაღაც „ომეგას" ან „ალფას" მსგავსი. არადა, მათთვის „უტვინოთა ასეული" ზედგამოჭრილი იქნება.

მოკლედ, შექსპირისა არ იყოს, „დიდი ამბები ხდება დანიის სამეფოში, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ." რაღაც შექსპირისეული „ქოქტეილი" კი გამომივიდა, მაგრამ რეალობას კარგად ასახავს.

დავუცადოთ მოვლენების განვითარებას. ეს წერილი 6 დეკემბერს იწერება და ბიჭი ისევ მიტინგობს. ამასობაში, მშობლიურმა ნაციონალებმა გაიღვიძეს და სასწრაფოდ აქცია დააანონსეს. სიმართლე გითხრათ, ბოლომდე ვერ გავიგე, ეს აქცია მიშას მხარდასაჭერადაა, თუ საკუთარი გულის გასახარად, ან იმისთვის, რომ ვიღაცა შეაშინონ? ჰოდა, რაც თავში ვთქვი, იგივეს გავიმეორებ: შემირცხვენია ის საქართველო, სადაც ჯერ სააკაშვილის და მერე ამათი შეეშინდებათ.

გ. გოგოლაძე

ხაშურის საჭიდაო სკოლის დიდი წარმატება

## გიორგი ნასყიდაშვილი ევროპის ჩემპიონია

სასიხარულო ცნობა მოვიდა ხორვატიიდან, ქალაქ პორეჩიდან, სადაც ამ დღეებში, დასრულდა ევროპის ჩემპიონატი კადეტთა შორის ჭიდაობა სამბოში. ამ უმნიშვნელოვანეს შეჯიბრზე, საქართველოს სახელით მონაწილეობდა ჩვენი სასპორტო სკოლის აღზრდილი გიორგი ნასყიდაშვილი, რომელიც 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა და ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. მის წონაში 30-მდე მონაწილე ასპარეზობდა. პირველ წრეში გიორგი ისვენებდა. მეორეში – რუსი სპორტსმენი ჩამოიშორა გზიდან (6:2), მესამეში, მტკივნეული ილეთით, დაამარცხა გერმანელი მონაწილე, დაძაბულ ფინალში კი 3:0 სძლია უკრაინელ სპორტსმენს.

ჩვენი მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით ვულოცავთ გიორგის ამ უდიდეს წარმატებას. ვულოცავთ მის მწვრთნელს, შესანიშნავ სპეციალისტს ბუხუტი ბუხრიკიძეს, რომელსაც უზარმაზარი წვლილი მიუძღვის გიორგის გაჩემპიონებაში, ვულოცავთ სასპორტო სკოლის ხელმძღვანელობას, მის მშობლიურ მე-9 საჯარო სკოლას და მთელს მუნიციპალიტეტს.

გვჯერა, არცთუ დიდი დროა იქამდე, როდესაც გიორგი უკვე უფროსებში დაიწყებს ასპარეზობას და იქაც გვასახელებს.

გიორგი 2008 წლიდან ვარჯიშობს ბუხუტი ბუხრიკიძის მეთვალყურეუბის ქვეშ და უკვე „მოასწრო" თავის ასაკში საქართველოს ჩემპიონობა ძიუდოში და ქართულ ჭიდაობაში.

# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

4 დეკემბერს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სესია. სესიას უძღვებოდა საკრებულოს თავჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი. სესიაზე დასამტკიცებლად გატანილი იყო ოცდაორი სხვადასხვა საკითხი. საკითხების ძირითადი ნაწილი ეხებოდა საკრებულოს კომისიების, მერიის, მერიის პირველადი

სტრუქტურული ერთეულების ადმინისტრაციული სამსახურების დებულებებში ცვლილებების შეტანას. როგორც ცნობილია, 29 ნოემბრიდან ძალაში შევიდა მუნიციპალიტეტების მმართველობითი რგოლის ახალი დასახელება – ნაცვლად გამგეობისა, იქნება მერია. ზემოაღნიშნულ დებულებებში ცვლილებები სწორედ ამ სახელის შეცვლამ გამოიწვია.

სესიაზე, საკრებულოს წევრებმა დაამტკიცეს მერიის თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების მოდელი.

ამავე სესიაზე იმსჯელეს და დაამტკიცეს 2017 წლის 10 ივნისს, 2017 წლის 16 ოქტომბერს და 2017 წლის 27 ივნისს მომხდარი სტიქიების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებზე ფულადი დახმარების გაცემის შესახებ.

სესიაზე, საკრებულოს წევრებმა, თანხმობა მისცეს მუნიციპალიტეტის მერიას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სავანეს" რეორგანიზაციის თაობაზე.

# სასარგებლო ტრენინგი

დასრულდა სამდღიანი ტრენინგი, რომელიც პროგრამულ ბიუჯეტს შეეხებოდა და განკუთვნილი იყო მუნიციპალიტეტის ამავე პროფილის სამსახურებისთვის. როგორც ტრენინგის ორგანიზატორმა და საქართველოს თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ, **დავით ხოსრუაშვილმა** აღნიშნა:

–ეს ტრენინგი ეძღვნება პროგრამულ ბიუჯეტს, თუ როგორ უნდა გაკეთდეს იგი, კანონმდებლობით როგორია მისი რეგულაცია, ვინ უნდა გააკეთოს პროგრამები, რა არის სამსახურების უფლება-მოვალეობანი. სამიზნე ჯგუფები ყველა ის სამსახურია, რომლებიც პროგრამას ადგენენ, ესენია: ძირითადად, მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურები.

ტრენინგები მთელი საქართველოს მასშტაბით ტარდება, ჩვენ ვცდილობთ საქართველოში მოვაწესრიგოთ პროგრამული ბიუჯეტი. ჩვენ ხაშურის მუნიციპალიტეტში მესამე დღეა ვატარებთ ამ ტრენინგს. სამი დღის უკან საირმეში ვიმყოფებოდით და ეტაპობრივად ვწვდებით მთელი საქართველოს რეგიონებს.

აღნიშნული ტრენინგი უფრო ეფექტურს გახდის ბიუჯეტზე მუშაობას, მის დაგეგმვას და განხორციელების ფორმებს.

200 - ნიკოლოზ ბარათაშვილი - 200

# სამეცნიერო კონფერენცია

ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებამ, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა და სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოე-

ბის ხაშურის რაიონულმა ორგანიზაციამ, 2 დეკემბერს, ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ჩაატარეს.

კონფერენცია, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლაში გაიმართა, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველმა



თამაზ ლაცაბიძემ გახსნა.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, ხაშურის მაჟორიტარმა დეპუტატმა სიმონ ნოზაძემ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წამყვანმა მეცნიერ -თანამშრომელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მიხეილ ქავთარიამ და კონფერენციის ორგანიზატორმა მურად მთვარელიძემ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში კონფერენცია მესამე წელია, იმართება. პირველი კონფერენციის თემატიკა იყო აკაკი და საქართველო, შემდეგ, რუსთაველი და საქართველო, ამჯერად კი ნიკოლოზ ბარათაშვილი

და საქართველო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კონფერენციის ორგანიზატორებმა გამოთქვეს ინიციატივა ლიტერატურული კონკურსის "ტატოს" დაარსების შესახებ. იდეას განსაკუთრებით დიდი მოწონება მოჰყვა მოსწავლეების მხრიდან, რომლებიც კონფერენციას პედაგოგებთან ერთად ესწრებოდნენ.

პლენარული სხდომის შემდეგ, გაიმართა სექციური მუშაობა, სადაც სამეცნიერო წრის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

სტუმრებმა, ოსიაურში - ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილის მამის მელიტონ ბარათაშვილის საფლავსაც მიაგეს პატივი. აღსანიშნავია, რომ მელიტონ ბარათაშვილი სწორედ ამ სოფელშია დაკრძალული. მელიტონი 1860 წლის ზამთარს, ოსიაურში, ქალიშვილის, ბაბალე და დიმიტრი ვეზირიშვილის ოჯახში, ვეზირიშვილების სასახლეში ატარებდა და იქვე გარდაცვლილა.

კონფერენციის მონაწილეებმა და სტუმრებმა, ასევე დაათვალიერეს ქალაქ ხაშურში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში გამართული გამოფენაც, რომელიც ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, პუბლიცისტს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მესვეურს- დიმიტრი ყიფიანს ეძღვნება.

# მამაკაცებო, მოერიდეთ გესლიან მშვენიერებას!

სახუმაროდ და საქილიკოდ რომ არ გვაქვს საქმე, ამის შემჩნევა ძნელი არ არის. პიროვნული თავისუფლებისკენ თავაშვებული ლტოლვა ჯებირის გადანგრევას დაემსგავსა, რომელიც განურჩევლად ღირებულებისა, წალეკვით ემუქრება ნებისმიერ წინააღმდეგობას.

ჩემი ქვეყნის კონსტიტუცია მაძლევს იმის უფლებას, რომ გამოვთქვა საკუთარი მოსაზრებანი ქვეყანაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესის მიმართ, მიუხედავად იმისა, მოეწონება ვინმეს ეს აზრი თუ არა.

ვიცი, რომ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტის აზრსაც კი ხშირად ანგარიშს არ უწევენ, ჩემი ხმა დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, მაგრამ იმ მამლისაც მესმის, რომ თქვა: მე ვიყივლებ და გათენება ღმერთმა იცისო.

ვხვდები, რომ ყივილის და გამოფხიზლების დროა, რათა აის-დაისი ერთმანეთში არ აგვერიოს, გადამთიელთა მიერ თავმოხვეულმა თავსაბურავმა ისე არ დაგვიბნელოს თვალები, რომ მოპირკეთებული გზის ნაცვლად უფსკრულისკენ წავიდეთ, კარგი და ცუდი ვეღარ გავარჩიოთ, ფეხქვეშ გავთელოთ ჩვენთვის საამაყო ეროვნული ტრადიციები და შევითვისოთ ქცევის ისეთი ფორმა-ნორმები, რომელთა გაფიქრებაც კი საფლავში ამოატრიალებს ჩვენს წინაპრებს.

ნუთუ, ჩვენ იმ წმინდა ქეთევან დედოფლის შთამომავლები ვართ, რომელმაც შაჰის ცოლობას, სარწმუნოების შეცვლას და ფუფუნებაში ცხოვრებას, ჯოჯოხეთურად წამებით სიკვდილი ამჯობინა?

ქარაფშუტანი გვიქადაგებენ, რომ გარეთ გავიხედოთ, ოცდამეერთე საუკუნეა და გამოქვაბულიდან გამოვიდეთ.

ნეტავი, რომელი სარწმუნოების და რელიგიის წმინდა წერილებში წაიკითხეს, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ადამიანებმა უნდა იცხოვრონ სულიერი გამოფიტულობის პრინციპით. ავიწყდებათ, რომ გამოქვაბულიდან გამოსულები კი არ იხდიან, იცვამენ სამოსელს და ფარავენ სასირცხვო ადგილებს.

მეორე მსოფლიო ომის დროს დაბადებულ მოქალაქეებს, რა თქმა უნდა, არ გევნატრება ბავშვობაწართმეული ათწლეულები, მაგრამ იმას კი ვნატრულობ, რომ ცოტა ხნით მაინც გავხდე სკოლის მოსწავლე, მოვუსმინო თანამედროვე მასწავლებლებს და შევადარო მათი სულიერი სამყარო, ცხოვრებისადმი დამოკიდებულება, მოსწავლეებში ადამიანურობის გამომუშავება-აღზრდის მეთოდები და შინაარსი ჩემი თაობის მასწავლებლების შინაგან სამყაროს. თან მეშინია ამ შეფასებამ გული არ გამიხეთქოს, რისთვისაც ისიც კი საკმარისია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოისმინო თითქოს სამშობლოსადმი პატრიოტული დამოკიდებულება. მისადმი სამსახური თურმე იძულებითია და თავისუფლების შეზღუდვაა, შენიშვნის მიცემა შეურაცხმყოფელი და დასჯადია, სიყვარული მხოლოდ წუთიერი გატაცებაა, ქალის ოჯახური საქმიანობა მისი ჩაგვრა და დისკრიმინაციაა, მეუღლედ შეიძლება შეირთო შენივე სქესის ადამიანი, ქორწინების მარადიულობის პინციპის დაცვას კონტრაქტით გაფორმებული ურთიერთობა ჯობია, ცოლქმრული ღალატი თითოეული

მათგანის საქმეა და მეუღლე ვერ შეუზღუდავს საკუთარი სხეულის სურვილისამებრ გამოყენებას და ა.შ.

სად დაიბადნენ, როგორ გარემოცვაში გაიზარდნენ, სად მიიღეს სწავლა-განათლება, სად მოღვაწეობდნენ ასეთი იდეოლოგიის მქონე და გამტარებელი თავისუფლებისმოყვარე აღმზრდელები, ვინ იყვნენ მათი მასწავლებლები, ვის ხელშია ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის სადავეები?

ძალიან მიჭირს ამ სტრიქონების წერა, მაგრამ მაინც ვეკითხები, ვისაც ჯერ არს: ნუთუ ქვეყანაში ისე დაალაგეთ ყველაფერი, რომ მთავარი საზრუნავი სექსუალური ქცევის მოწესრიგებაა?

მოფუსფუსე უსაქმურებო, არ ჯობია ადამიანის სულიერი აღზრდა-ჩამოყალიბების გზები ეძებოთ, გამონახოთ ისეთი მეთოდები და საშუალებები, რომ მოქალაქემ იამაყოს იმ ქვეყანაში ცხოვრებით, სადაც ყველაზე მეტად ღირებულია ადამიანური ღირსებები, სადაც არსებობს მორალური ზღვარი თავისუფლებასა და თავაშვებულებას შორის, სადაც ესმით, რომ ბუნების კანონზომიერებას ვიღაცის ხუშტურებზე მორგებული კანონებით, დადგენილებებით და ბრძანებებით ვერ შეცვლიან, სადაც ერის მომავალზე ზრუნავენ და სწამთ, რომ მამაკაცი არ დაორსულდება, რადგანაც უზენაესმა ამის ფუნქცია ქალის ორგანიზმს მიანიჭა, სადაც პატივს სცემენ საღადმოაზროვნე ადამიანებს, სამართლიან კანონებს.

ამ წერილის დასაწერად მიბიძგა იმ მდგომარეობამ, რომ თურმე ქალთა ათასეულმა იკისრა ახალი ფრონტის გახსნა და მოამზადა კანონპროექტი სექსუალური გრძნობების გამომჟღავნებელთა და წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

რა თქმა უნდა, საზოგადოებაში ცხოვრობენ საღადმოაზროვნენიც და მრუდედ მაზროვნენიც, რომელთა აზრიც გასათვალისწინებელია, მაგრამ არა იმ მოცულობით, რომ ყოველი წვრილმანი სახელმწიფო კანონით დავარეგულიროთ. ადამიანთა ურთიერთობების მორალური და ზნეობრივი ნორმები ხომ საუკუნეების განმავლობაში მკვიდრდებოდა. არც ერთ ქვეყანაში აზრად არავის მოსვლია, რომ დაარეგულიროს მეუღლეთა ლოგინში ურთიერთობის საკითხები, რადგანაც ეს საიდუმლო, მხოლოდ ლოგინმა უნდა იცოდეს და არაა ტელედებატების თემა.

მებადება კითხვა:

1. ნუთუ იმ ათასი ქალიდან, რომლებმაც ხელი მოაწერეს საინიციატივო წერილ-წინადადებას სექსუალური ლტოლვის გამომხატველი მოქმედებისათვის სასჯელის შემოღება-გამკაცრების შესახებ, არც ერთი არაა ჩახედული კანონმდებლობაში, სადაც შესანიშნავად არის ჩამოყალიბებული პიროვნების ხელშეუხებლობისა და მისი ხელმყოფთა წინააღმდეგ სასჯელის გამოყენების საკითხი?

2. ნუთუ ათასიდან ერთს მაინც არ მოუვიდა აზრად, რომ სასჯელის გამოყენების აუცილებლობა დგება ქმედების უარყოფითი შედეგის დადგომის შემთხვევაში მისი მოცულობის გათვალისწინებით და სასჯელის დადება მხოლოდ სათანადო ორგანოების პრეროგატივაა? რა ზომის სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ახალგაზრდა ბიჭს, რომელმაც ყვავილი ესროლა, ან მიართვა გოგონას, მან კი ეს თავისი ანჩხლობის გამო შეურაცხყოფად მიიღო?

3. ნუთუ ათასიდან ერთმაც არ გაითვალისწინა, რომ თუ პირის მიმართ გამოჩენილმა ზედმეტმა ყურადღებამ ლამაზმანი გააღიზიანა, გამღიზიანებლის დასასჯელად, საჭირო მრავალი სამართლებრივი პროცედურის ჩატარება? ღირს კი კეთილშობილურ გრძნობას გესლით და შხამით ვუპასუხოთ?

4. ქალთა ათასეული რომ მიშტერებისათვის მოქალაქის დასჯას ითხოვს, როგორ უნდა დაადგინონ, რამდენი წამით ყურება შეიძლება ჩაითვალოს მიშტერებად, რომელი მოწმე ჩართავს წამზომს, როდის დაიწყო და როდის დამთავრდა მიშტერება? თუ მოქალაქეს თვალის ქუთუთოს ფუნქცია მოშლილი აქვს და ვერ აფახურებს, უნდა ჩაუტარდეს მას ექსპერტიზა უდანაშაულობის დადგენის მიზნით?

5. როცა ადევნებაზე აკეთებენ აქცენტს, ათასეულმა გაითვალისწინა თუ არა, რომ მოქალაქე არ არის ვალდებული ნებართვა აიღოს ან ანგარიში ჩააბაროს ვინმეს, თუ რომელი მარშრუტით აპირებს გადაადგილებას და თუ ვინმეს რამე ელანდება, ეს არ არის პირის პასუხისმგებლობის საფუძველი. როგორ უნდა დადგინდეს, მოქალაქე თავის გზაზე მიდიოდა თუ აედევნა?

6. გაითვალისწინა თუ არა ათასეულმა, რომ თუ ვინმე ტელეფონით ხშირად ურეკავს, უფრო ადვილია თითის დაჭერით ტელეფონის გამორთვა, ვიდრე საჩივრებით სხვადასხვა ინსტანციებში სიარული?

7. გაითვალისწინა თუ არა ათასეულმა, რომ სასიყვარულო ქათინაურები არ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას, რის გამოც ადამიანის დასჯა მიზანშეწონილი არ იქნება. თუ შენ ღიზიანდები იმის გამო, რომ ვინმე ალერსიანი თვალებით გიყურებს, ან რაღაც მოქმედებით გასიამოვნოს, სად იკვეთება დანაშაულის ნიშნები? რა მოცულობის მატერიალური, ფიზიკური და მორალური ზარალი მიიღეთ ამით? სად გაგონილა კეთილგანწყობილებისათვის დასჯა?

8. როდის შემდეგ გახდა სიყვარული და მოფერება დასჯადი, განა პატივისცემით არ უნდა მოვეპყროთ მოპირდაპირე სქესის გრძნობებსაც, ხომ არ შეიძლება ყველას და ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყუროთ და პოლიცია-სასამართლოში ვირბინოთ?

მე ეჭვი მაქვს, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, რომლებიც განგაშს ტეხენ მათდამი განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენის გამო, ცდილობენ, მეტად მიიპყრონ საზოგადოების ყურადღება და იკეკლუცონ. ვერ ხვდებიან, რომ დაუდგებათ ასაკობრივი ზამთარი და მაშინ, შიშვლებმაც რომ იარონ, ზედაც არავინ შეხედავს. მერე როგორ კანონპროექტებს მოამზადებენ?

9. უნდა დაიხუროს თუ არა სილამაზის სალონები? სადაც იმიტომ აკეკლუცებენ ადამიანებს, რომ მიმზიდველად გამოიყურებოდნენ და გარემოცვის ყურადღება მიიქციონ, თორემ სარკესთან დადგებოდნენ და საკუთარი მშვენიერებით დატკბებოდნენ.

10. ახლა რომ ოჯახურ ძალადობაზე ტეხენ განგაშს, განა დიდი მნიშვნელობა აქვს, ძალადობა კედლის შიგნით ხდება თუ კედლის გარეთ? ქალთა ათასეული ხომ არ შემოდის წინადადებით, მიღებული იქნას კანონები ცალ-ცალკე სახლში, ბაღში, მინდორში, ტყეში, ყანაში, წყალში და ა.შ. ძალადობისათვის. ძალადობა ყველგან ძალადობაა და დასჯადია, სადაც უნდა ხდებოდეს იგი.

11. ათასეულის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი შეიცავს თუ არა მამაკაცთა დისკრიმინაციის ნიშნებს იმის გათვალისწინებით, რომ არც ერთი მამაკაცი არ იკადრებს უჩივლოს ქალბატონს ჯიბეში ერთ ადგილზე მოსათათუნებლად ხელის ჩაყოფის შემთხვევაშიც კი?

12. ხომ არ ფიქრობს ათასეული, რომ შემოვიღოთ კანონები და სასჯელები ცალ-ცალკე ქალების, კაცების, ბიჭების, გოგონების, მოხუცების, დაოჯახებულ, დასაოჯახებელთათვის და ა.შ?

13. ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი, შეკრებილიყო მამაკაცთა ათასეული და საპირისპიროდ წამოეყენებინათ საკანონმდებლო ინიციატივა იმ პირთა პასუხისმგებლობების დაწესების შესახებ, რომლებიც გამომწვევად იცვამენ, აღიზიანებენ და უბიძგებენ მოპირდაპირე სქესის ადამიანებს ზედმეტი ყურადღება გამოიჩინონ მათ მიმართ, შემდეგ კი წივილ-კივილი ატეხონ?

14. როგორ ფიქრობს ქალთა ათასეული: საჭიროა თუ არა სატელევიზიო და სხვა საინფორმაციო საშუალებებით მსოფლიოს ვაცნობოთ რომ თურმე ვიღაცამ ვიღაცას ბაზარში ყოფნისას გამოტკუცნებულ უკანალზე წაარტყა ხელი. ამის შესახებ ხომ ერთი ახალგაზრდა გოგონა ტელევიზიით მთელი თვის განმავლობაში შეგვახსენებდა. ეს რომ მსოფლიოს არ გაეგო, ქვეყანა დაიღუპებოდა?

15. როგორ აფასებს ქალთა ათასეული მდედრობითი სქესის იმ წარმომადგენელთა მოქმედებას, რომლებსაც შეუძლიათ სატელევიზიო გადმოცემების დროსაც კი საზოგადოების წინაშე მკერდმოშიშვლებულებმა და შიშველფეხებგადადებულებმა უჩვენონ მსოფლიოს სხეულთა ისეთი ადგილები, რომელთა დასაფარავად უხსოვარი დროიდან მუშაობს ადამიანთა ტვინი და მრეწველობის დიდი პოტენციალი.

ადრე, ასეთ ადამიანებს შუბლისძარღვგაწყვეტილებს უწოდებდნენ, ახალა კი, უმჯობესია საწმერთულ ხვანჯარგაწყვეტილები შევარქვათ.

მამაკაცებო, მოერიდეთ ხვანჯგარგაწყვეტილ, მშვენიერ, გესლიან და შარიან ქალებს, თორემ მათ შეუძლიათ დაგაგლიჯონ ნერვები, ძვირად დაგიჯინონ თქვენს მიერ მოკრძალებულად გამოხატული საალერსო ქმედება და თვალის ერთი ჩაკვრის გამო, ისეთი მორალური დარტყმა მოგაყენონ, რომ ცხოვრებაში ვეღარ დაივიწყოთ.

ლამაზმანებო, ნუ შეაგებებთ გესლს და ბოღმას საპირისპირო სქესის ადამიანიდან მომდინარე დადებით აურას. სად არის იმის გარანტია, რომ კიდევ არ შეიკრიბებიან ახალი ათასეულები და არ შემოგვთავაზებენ ახალ სულელურ კანონპროექტებს?

ვნახოთ, იცეკვებს თუ არა ჩვენი საკანონმდებლო ორგანო მოფუსფუსე უსაქმურთა ინიციატივის შესახებ დაკრულ ჰანგებზე.

რევაზ გრიგალაშვილი

სურამისა და ხაშურის ეპარქიის მოკლე ისტორია

# აღელი სასულიერო პირები მაჭარაშვილთა გვარიდან

წარსულში, სოფელ ალში მცხოვრებ მაჭარაშვილთა გვარიდან არაერთი სასულიერო პირი იყო. ამის შესახებ თვით სოფელ ალში არსებული კვირაცხოვლის სახელობის ეკლესიის ეზოში მიმოფანტული საფლავის ქვები გვამცნობენ. მამები, შვილები, ძმები... ყოველი მათგანი სასულიერო პირის წოდებისანი. ისტორიის გასაცოცხლებლად ისევ XIX საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდულ პრესას უნდა მივმართოთ, სადაც, ერთი შეხედვით, უბრალო განცხადებებიდან და სტატიებიდან მეტად საინტერესო ინფორმაციას ვეცნობით, რაც მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ საინტერესო ასპექტს გვაჩვენებს და

გვააზრებინებს.

ამგვარად, ვიგებთ, რომ გრიგოლ სპირიდონის ძე მაჭარაშვილი, რომელიც წარმოშობით სწორედ ალელი მაჭარაშვილების ოჯახიდან იყო, საკმაოდ დაფასებული და წარმატებული სასულიერო პირი ყოფილა. მისი განსასვენებელი ალის კვირაცხოვლის ტაძრის ეზოშია, აქვეა 80 წლის ასაკში გარდაცვლილი ვინმე მღვდელ ნიკოლოზ სპირიდონის ძე მაჭარაშვილის საფლავი, რომელიც უნდა ვივარაუდოთ, რომ გრიგოლ მაჭარაშვილის ძმაა.

გაზეთ „ივერიის" 1902 წლის სექტემბრის ნომერში, ფოთის ქალაქის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა დეკანოზი გრიგოლ მაჭარაშვილი, ფოთის ქალაქის წევრი და მისთვის ფოთის საკათედრო ტაძარში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. დეკანოზის ბიოგრაფიის გაცნობისას ვიგებთ, რომ მას დეკანოზის წოდება 1887 წელს მინიჭებია. 1892 წლის 15 აპრილს წმიდა ანას II ხარისხის ორდენით, 1895 წლის 6 მაისს კი წმიდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვებულა. 1896 წლის 17 ნოემბერს დეკანოზი გრიგოლი ფოთის ეპარქიალური სასწავლებლის თავჯდომარედ დაუნიშნავთ, 1900 წლის აღდგომას ენქერი უბოძებიათ. იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამხმარებელი წევრი ფოთში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი (1879 წლიდან). დეკანოზი 1902 წლის 16 სექტემბერს გარდაცვლილა. მისი დაკრძალვის ცერემონიალის შესახებ კი გაზეთ „ივერიის" 1902 წლის 25 სექტემბრის ნომერში საინტერესო ინფორმაციას ვიგებთ.

სოფელ ალში მის დაკრძალვას დაესწრო ფოთის ქალაქის მოურავი ნიკო ნიკოლაძე, ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) ავადმყოფობის გამო მის მაგივრად მიბრძანებულა იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე) (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი - გ. ჩ.), პროცესიას უამრავი ხალხი მიუძღოდა, მათ შორის: 1. ფოთის ორკლასიანი სამრევლო სკოლის წარმომადგენლობა; 2. ფოთის ქალთა გიმნაზიისა და ოლგას დედათა სკოლის წარმომადგენლობა; 3. ფოთის ვაჭართა წარმომადგენლობა. აგრეთვე აღნიშნული პროცესიის მონაწილეთა შორის სახელდებიან ქრისტეფორე და ნინო ხუმარაძე, დიმიტრი გუგულაშვილის ოჯახი, ლეონტი და მინადორა ჩაჩანიძე, სხვა ნათესავ-ახლობლები და მრევლი. პროცესიას მიუძღოდა ვერცხლის ხატი გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭოსაგან, მაცხოვრის

ვერცხლის ხატი ფოთის საკათედრო ტაძრის კრებულისაგან. მღვდელ-მთავრის წირვაზე გალობდა მგალობელთა ორი გუნდი: ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს (ოქროპირიძე) გურულ-მგალობელთა გუნდი გურულ კილოზე და ალის სამრევლო სკოლის მოწაფეთა გუნდი. სიტყვა წარმოუთქვამს მღვდელ გიორგი გეგეჭკორს, ხოლო ფოთელებმა განსვენებულის ქვრივს 400 მანეთი გადასცეს საყვარელი მოძღვრის საფლავზე მატურის ძეგლის ასაგებად. ალის კვირაცხოვლის ეკლესიის ეზოში ეს ძეგლი ახლაცაა შემორჩენილი, რომელსაც ანალოღიის ფორმა აქვს და ზედ, წიგნის გამოსახულებაზე ბიბლიური ციტატაა ამოკვეთილი. ქვის უკანა მხარეს კი წარწერაა: „დეკანოზი გრიგოლი სპირიდონის ძე მაჭაროვი, წინამძღვარი ფოთის საკათედრო საკრებულო ტაძრისა, გარდაიცვალა 15 სექტემბერს 1902 წელსა შობიდან 67-ის წლისა". მის მარჯვნივ კი კიდევ ერთი საფლავის ქვაა, რომელიც, სავარაუდოდ, დეკანოზ გრიგოლის მეუღლის საფლავის ძეგლი უნდა იყოს.

კიდევ ერთი მაჭარაშვილი გვხვდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წლის 25 მარტი) საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომებში მონაწილეთა შორის. აქ იხსენიება ვინმე მამა ნესტორ მაჭარაშვილი. მისი ბიოგრაფიის გაცნობისას ვიგებთ, რომ 1891 წლის 21 ნოემბრიდან იგი მამადავითის ეკლესიის წინამძღვარია, 1920 წლის 4 დეკემბერს საეპარქიო კრებას საეპარქიო სასამართლოს წევრად აურჩევია, 1921 წლის 20 ნოემბრიდან თბილისის მთავარხუცესია, 1924 წლიდან მთაწმინდის მამადავითის ეკლესიის მსახურია. ამავე წელს იგი ძმასთან, ასევე მღვდელ სვიმონ მაჭარაშვილთან ერთად ავადმყოფი ძმის მოსანახულებლად სურამში წასულა, სადაც დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩააჯინეს, 1925 წლისათვის გაუთავისუფლებიათ და კვლავ თბილისის ოლქის მთავარხუცესად დაუდგენიათ. ჩვენი ვარაუდით, მამა ნესტორ მაჭარაშვილიც სწორედ ალელ მაჭარაშვილთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

გაზეთ „ცნობის ფურცელის" 1898 წლის 10 სექტემბრის ნომერში ვხვდებით სოფელ ალში მყოფი მღვდლის, ალის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგის, მღვდელ ისიდორე მაჭარაშვილის წერილს. აქვე მოვიყვანთ მის სრულ ტექსტსაც:

„დღემდის ძალიან დაქვეითებული იყო ჩვენი სოფელი, როგორც შეძლებით, ისე სწავლა-განათლებით, დღეს კი წინმსვლელობის გზაზე გამოვიდა და იმედია, უკუნათ სიბნელეს თავს დააღწევს. აქ არ იყო სკოლა და დღეს კი ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი გვაქვს; არ იყო წიგნთ-საცავ-სამკითხველო და დღეს უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო გვაქვს; სკოლის საქმე, დღემდის კარგად მიდიოდა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ დღეის იქით კი შეიძლება საქმე ცუდათ წავიდეს, რადგანაც როგორც ყური მოვკარით, მასში აპირობენ ქართუ-

ლი ენის მოსპობას და მასწავლებლად რუსის დანიშვნას, რითაც ქართველი ბავშვები მოაკლდებიან სამშობლო ენის შესწავლას...

ამ სოფელში არაფერი გასართობი რამ არ იყო, რის გამოც აქაური ხალხი და სტუმრათ-მოსულნი ინტელიგენცია კვირა-უქმით იყრიდნენ თავს აქაურ დუქნების წინ, სადაც ისმოდა მხოლოდ ლანძღვა-გინება, ჩხუბი, საქონლის ქება-ძაგება, ერთი-ერთმანეთის ბეზღობა და სხვა. ან კი რა უნდა ექნათ? სად უნდა წასულიყვნენ?! ამ არა სასურველ გარემოების ასაცილებლად, მე, ადგილობრივმა მღვდელმა განვიზრახე აქ სამკითხველოს დაარსება, შუამდგომლობაც აღვძარი უმაღლეს მთავრობის წინაშე; ბევრნიც თანამიგრძნობდნენ; ბევრმა, რომ გაიგეს სამკითხველო არსდება ალშიო, ქართული წიგნები გამომიგზავნეს; სხვათა შორის „წერა-კითხვის საზოგადოებამაც" გამომიგზავნა რამოდენიმე ცალი თვის-მიერ გამოცემული ქართული წიგნები. მაგრამ სამწუხაროთ, ჩვენი თხოვნა კარგა ხანი იყო მიძინებული. დიდი ხანი ველოდი ამ ნებართვას, რომლითაც ჩვენი სოფელი ღირსი უნდა გამხდარიყო იმისა, რასაც თითქმის მთელი გორის მაზრის დაბა-სოფლები მოკლებულნი არიან. ბოლოს, როგორც იქნა ვეღირსეთ უმაღლეს მთავრობისაგან ნებართვას (წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსებაზე) მაგრამ მარტო ნებართვა არაფერს არ მოგვიტანს, თუ კიდევ არ აღმოგვიჩინეს შემწეობა. აი ახლა გამოაჩნდებათ გულკეთილობა მათ, ვინც სანამ ნებართვა მოგვივიდოდა, გვპირდებოდნენ შემწეობას.

თუ შემწეობა გვექნება ვისგანმე, ძალიან კარგათ წავა სამკითხველოს საქმე. დასასრულ ვსთხოვთ ყველა გულკეთილთ, აღმოგვიჩინოს რამე შემწეობა და ნუ დაზოგვენ თავიანთ წვლილს ამ კეთილი საქმისთვის. ორი გროშის საღირელ წიგნსაც დიდის სიამოვნებით მივიღებთ".

მისი წერილიდან აშკარად ჩანს, თუ როგორ ზრუნავს იგი სოფელ ალში განათლების გავრცელებაზე, იქ ბიბლიოთეკის დაარსებაზე და ადგილობრივთათვის განათლების დონის ამაღლებაზე, რომელიც ამ პერიოდის საქართველოში ძალზე მძიმე მდგომარეობაშია. კვირაცხოვლის ეკლესიის შიგნით, საკურხევლიდან მარჯვენა მხარეს არსებული მისი საფლავის წარწერიდან ვიგებთ, რომ იგი 1920 წელს გარდაცვლილა.

მაჭარაშვილთა გვარიდან კიდევ სამი სასულიერო პირი შეგვიძლია დავასახელოთ, რომლებიც უკვე ალის თემის სოფელ დუმაცხოვის წმიდა

(გაგრძელება V გვერდზე)

(დასასრული)

სურამისა და ხაშურის ეპარქიის მოკლე ისტორია

# აღელი სასულიერო პირები მაჭარაშვილთა გვარიდან

კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის მსახურებად არიან მოხსენიებულნი. მათ შორისაა მღვდელი სიმონ სპირიდონის ძე მაჭარაშვილი, რომელიც ეკლესიას 1841 წლიდან 1851 წლის 28 ივლისამდე უძღვებოდა. აგრეთვე - მღვდელი ნიკოლოზ სპირიდონის ძე მაჭარაშვილი, რომელიც ეკლესიას 1869 წლის 13 მაისიდან 1904 წლის 5 მარტამდე უძღვებოდა და ბოლოს - მღვდელი იოანე ნიკოლოზის ძე მაჭარაშვილი, რომელიც დუმაცხოვის ეკლეესიას 1904 წლის 13 მაისიდან, 1916 წლის 19 ივლისამდე უძღვებოდა.

სოფელ ალში დღემდე შემორჩენილია ნახევრად დანგრეული სახლი, რომელიც სოფლის მცხოვრებთა თქმით სწორედ ალელ სასულიერო პირებს, კერძოდ ძმებ მაჭარაშვილებს ეკუთვნოდათ. სახლის მდგომარეობის შესახებ თავდაპირველად ალის მკვიდრმა ერთ-ერთმა სტუდენტმა რუსუდან ჩარქიშვილმა გვაცნობა და სახლის ამჟამინდელი მდგომარეობის ამსახველი ფოტოებიც გვაჩვენა. შემდგომ სახლი თავადაც დავათვალიერეთ და აღმოჩნდა, რომ სურამისა და ხაშურის ეპარქიაში, ანუ ხაშურის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ ისტორიულ შენობასთან გვაქვს საქმე, რომელიც უპატრონობით ინგრევა. სახლი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული. ეთნოლოგი, პროფესორი ნოდარ შოშიტაშვილი სახლის საინტერესო აღწერას გვთავაზობს:

„სახლი რაიმე კონკრეტულ ტიპს არ მიეკუთვნება. ეკლექტიკაა, მასში შეერთებულია რამდენიმე მიმართულება. ეს არის მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართლის სოფლებში დამკვიდრებული ე.წ. ქალაქური სახლი, რომელიც ჯერ გავრცელდა პროვინციულ ქალაქებში, ჩემდეგ სოფლებში, ჯერ არისტოკრატიის და ინტელიგენციის, შემდეგ კი შეძლებული გლეხების მიერაც. სწორედ ასეთ სახლებში დაიწყეს გადასვლა ერდო-გვირგვინიანი და ბანიანი სახლებიდან შეძლებულმა მოსახლეობამ. სახლი ნახევრად ბელეტაჟზეა, ოღონდ, ქვედა ნაწილსაც აქვს გამოყენება. აქ ზოგჯერ მარანი ეწყობოდა, ქვევრები იყო ჩაყრილი. სიგრილის გამო ზამთრის ჭირნახული ინახებოდა. გამართულ ყაფაზებზე ხილი, ჩამოკიდებული ჯაგნები, დაბალი სიმაღლის გათხრილ ორმოში კარტოფილი... ტრადიციული წინკარი ანუ საჩეხი აივნად გადაიქცა, ამ შემთხვევაში სადა, "ფარდების" გარეშე. საყრდენი სვეტები ქართული აგურით, საყრდენი კედელი კომბინირებული: რიყის ქვა (მაშასადამე ფლეთილი) და კარ-ფანჯრის ღიობებში ქართული აგური. ტიხრები, რუსული გავლენით აფიცრული ან ე. წ. "გარბილებით", შემდეგ კი ტკეჩით "ატკეჩილი", შემდეგ კი გაჯით შელესილი. იქაური გავლენითვეა ფასადის კედლები შეღებილი,- ქვედა ნაწილი ლურჯად, ზედა თეთრად შეფეთქილი, შუაში დარდამავალი კანტით. იმავე სტილშია შეღებილი კარ-ფანჯრების ჩარჩოები. ფანჯრების მორთულობაში გაკრთება რუსული კლასიციზმის ნიშნებიც. გადახურვა ოთხფერდა, სახლის გეგმარების მიხედვით ოთხკუთხად წაგრძელებული. ბურვილი, ტრადიციული ქართული, ღარიანი (უფრო იმერული) ცხადია, ისტორიის ნაწილია!"

როგორც ვხედავთ, სურამისა და ხაშურის ეპარქიის ისტორიაში უდიდესი წვლილი სწორედ ალელ მაჭარაშვილებს მიუძღვით. სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე მაჭარაშვილებმა საინტერესო კვალი დატოვეს და მათი ცხოვრება და მოღვაწეობა კიდევ უფრო მეტად სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს.

**გიორგი ჩუბინიძე**

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის), ისტორიის მიმართულების IV კურსის სტუდენტი

---

თავისუფალი ჭიდაობა

# ვახტანგ ყვინიჯაძის სახელობის ტურნირი

ვახტანგ კვინიკაძე-ეს სახელი საქართველოში, ჭიდაობის დიდ ოჯახში, ისეთივე დიდი რეზონანსისაა, როგორც მთლიანად ქართული საჭიდაო სკოლა,. ამ პიროვნებამ, სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ, უმაღლესმა პროფესიონალმა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ეპოქა შექმნა ჩვენს მუნიციპალიტეტში და თუ თავისუფალი ჭიდაობის ხაშურის სკოლა ასეა სახელგანთქმული, უპირველესად, მისი დამსახურებაა. ათეული წლებია იგი მოზარდთა დაოსტატებას ემსახურება და მის "ყულაბაში", ასევე ათეულობით-ქვეყნის, ევროპის თუ მსოფლიო ჩემპიონია, რომლებსაც სწორედ მან გაუკვლია გზა.

ამ დღეებში, ხაშურში, მისი სახელობის ტურნირი გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში. ეს ტურნირი უკვე ტრადიციულია და წარმომადგენლები არც არასდროს აკლდა. წელს კი, ბატონი ვახტანგის 70 წლის იუბილე დაემატა და ტურნირმა მართლაც რეზონანსული სახე მიიღო. მონაწილეთა რაოდენობაც კი ადასტურებს ამ ფაქტის რეალობას-ტურნირში 300-მდე მოზარდი ასპარეზობდა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონების პატარა სპორტსმენებთან ერთად, ტურნირში აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას.

გამარჯვებულები დაჯილდოვეს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ ჯანაშვილმა და კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა კონსტანტინე ფრუიძემ.

იუბილესთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტისგან სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა ვახტანგ კვინიკაძეს.

ტურნირს ესწრებოდნენ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გეგა გეგეშიძე, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიორგი იანტბელიძე და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელები.

---

# აღინიშნა შშმ პირთა საერთაშორისო დღე

3 დეკემბერს, შშმ პირთა საერთაშორისო დღე ხაშურის მუნიციპალიტეტში ღონისძიებებით აღინიშნა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია "მომავლის სახლის" ორგანიზებით და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა. შშმ ბავშვებს ჯერ თოჯინების თეატრმა უმასპინძლა, სპექტაკლით "ჭინჭრაქა", შემდგომ კი ღონისძიება სამუსიკო სკოლის დარბაზში გაგრძელდა. როგორც "მომავლის სახლის" დამფუძნებელმა, ია გასიშვილმა აღნიშნა:

–3 დეკემბერს მსოფლიო შშმ პირების საერთაშორისო დღეს აღნიშნავს, ჩვენი დღის ცენტრიც შეუერთდა ამ დღეს ღონისძიებით, რაც ბავშვებისთვის ძალიან სასიამოვნო მოვლენად იქცა. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ორგანიზაცია, შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობს ამ ბავშვების გვერდით იყოს და დაეხმაროს მათ საზოგადოებასთან ინტეგრაციაში, რისი მაგალითიც, თუნდაც დღევანდელი დღე იყო. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას თანადგომისათვის, რადგან ჩვენს ყოველ ინიციატივას, შეძლებისდაგვარად, უჭერს მხარს.

თრიალეთს როცა ასდის ნისლები, გინდა - არგინდა, ფიქრით ივსები...
ქვიშხეთი - სათივის დამაკავშირებელი ხიდი მდინარე მტკვარზე. მ. სალაღაიას ფოტო

## ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2017 წელს ჩარიცხულ 100 %–იანი გრანტის მქონე სტუდენტთა საყურადღებოდ!

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 19 დეკემბრის 138 განკარგულების, „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2017 წელს განსახორციელებელი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ იგეგმება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იმ სტუდენტების დაჯილდოვება, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიიღეს 100% გრანტი (არ იგულისხმება უფასო ფაკულტეტები).

ვთხოვთ ამ სტუდენტებს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურში, 18 დეკემბრის ჩათვლით (შაბათ–კვირის გარდა), წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. 100% დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
3. ანგარიშის ნომერი.

საკონტაქტო პირი: ნინო ლომსაძე
საკონტაქტო ნომრები: 599006733
( 0368) 24-23-30

## ნუცა ჩიტაძის წიგნის პრეზენტაცია

პატარა ნიჭიერი მწერლის - ნუცა ჩიტაძის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის მეორე საჯარო სკოლაში. „ალუბლის ყვავილობა“, ასე ჰქვია ნუცას წიგნს, სადაც მისი საუკეთესო ლექსები და ჩანახატებია შესული.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ნუცას თანატოლები, წარმომადგენლები მუნიციპალიტეტიდან, რესურსცენტრიდან და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან.

შეხვედრის ორგანიზატორი იყო ხაშურის „ქალთა ასოციაცია“.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.